# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 275. ხუთშაბათი, 2 დეკემბერი 1904 წ. გაზეთის № 2687.

## პირველი ნაბიჯი

ბინდ-ბუნდი იყო სოფელში. წვიმდა, თავსხმა იყო. შემოდგომის ცივი ქარი ჰბერავდა. სვენებში, გზების პირა თხრილებში ნიაღვრები მიდიოდა. გატიტვლებული ფერდობები შავად უჟამურად გამოიყურებოდნენ. ხეები აქა-იქ შერჩენილ ყვითელ ფოთლებით საცოდავად იცრემლებოდნენ. უბნის ხის ქოხების ბუხრებიდან კვამლი სქლად ამოდიოდა. ქარი მას ერთ მხარეზე ზნექდა და მეორე ქოხის კვამლს უერთებდა. კარზე არავინ იყო; ძაღლიც კი არსად არ ჰყეფდა, მხოლოდ წვიმის შხაპუნი და ქარის გრიალი-ღა ისმოდა.

ერთ ქოხში, ცეცხლა-პირას, ტახტზე ლოგინი ეგო და შიგ ვიღაცა იწვა. ოთახში თითქმის ბნელოდა, მარტო ბუხრიდან ცეცხლი ოდნავ ანათებდა. ისე იყო მწოლარე საბნებით წაბურბნული, რომ ძნელად გაირჩეოდა, პატარა იყო თუ დიდი, ქმნა თუ ღვიძა. იქვე იმის გვერდით ვიღაც ქალი ტრიალებდა.

ოთახი განათდა. საბნები გამოაშკარავდა. ჭუჭყით გალიპულ საბნებ ქვეშ, თეთრ იარდალის წვირიან ბალიშზე ხუთი-ოდე წლის ბიჭის თავი გამოჩნდა. შავგვრემანი იყო, ხუჭუჭ-თმიანი. ლამაზ, შავ თვალებს ლულავდა, ტუჩები ჩაჰფიცხებოდა და მძიმედ სუნთქავდა. შემოკეთებული სიცხისაგან ლოყები დაჰკვერებოდა. ოდნავ სთვლემდა, ბურანში იყო წასული. ცეცხლის წინ, კეცში ჩასმული ქადი ეყუდა. მის გვერდით მოცუცქულიყო გამხდარი, გრძელი კატა. მიწის იატაკზე ჭონჭყი იდგა. მეორე კედელთან, დაუგებელ ტახტზე უწესოთ იყო მიყრილი: დაკონკილი, ალაგ-ალაგ მატყლ-გამოჩურთული ლეიბი, ძველი მუთაქა, ტომარა ფქვილით, სიმინდი ტაროთ, ბავშვის პატარა ჩუსტები, გორდა, საცერი და სხვა რაღაცა წვრილმანი. იქვე კედელზე ეკიდა რაღაცა შალის ქვედატანი, ძველი პალტო და გახუნებული ყაბალახი. შუა კედელთან ჭურჭლის პატარა, დანჯღრეული შკაფი იდგა; მორთულობათ კარებზე შიგ ხეში ამოჭრილი ჯვრები ჰქონდა, გარშემო რგვალ ხაზებ-შემოვლებული. ცალი კარი ერთ ანჯამაზე-ღა ეკიდა და მეორე კარისკენ მიღრეცილიყო. დაბალ, შავად გამჭვარტლულ ჭერს შუა თავ-ხის ქვეშ ბოძი ჰქონდა მიდგმული.

**მოთავენი სასამართლოს წესდებულების რეფორმისა**



ს. ი. ზარუდნი.



ნ. ი. სტოიანოვსკი.



იუსტ. მინ. დ. ნ. ზამიატინი.



დ. ა. როვინსკი.



დ. ა. მილიუტინი.



იუსტ. მინ. გრ. ვ. ნ. პანინი

აი, დაავლო ქალმა ხელი საკეცეს, ცეცხლს წაუჩინჩხილა, გამოუღო გული და ერთი მოზდილი ნუგუზალი აიღო. შეუბერა, ალი აალებინა და ბუხრის თავზე თუნუქის ლამპარს მოუკიდა.

ქალმა ლამპარი რომ აანთო, ბუხართან ტახტის წინ ჩაიკეცა. ჩითის გახუნებული კაბა ეცვა, მხრებზე ესხა ტოტშეხეული, ალაგ-ალაგ ცომ-მიმხმარი, ლურჯი შალი და თავზე თავშალი ეხურა. მის გამხდარ, წვრილ ნაკვთებიან, ჯერ კი-

დევ ყმაწვილ სახეზე ნაღველი იხატებოდა. ხშირი შავი წარბები შეეკრა და თვალებში თითქო ვიღიცისადმი საყვედურის გამომეტყველობით მიბინარებულ შვილს დასცქეროდა.

— შენ გენაცვალოს შენი დედა! — ჩუმად ჩაილაპარაკებდა, — თბილათა გხურავს, შვილო, იქნე ოფლი მოგივიდეს და მიშველოს ღმერთმა.



**პოდპოლკოვნიკი გ. მაყაშვილი**
(დაჭრილი იანტაის ბრძოლაში)

უცებ კარები ვიღამაც გააღო, შიგ ქარი და წვიმის ხმაურობა შემოუშვა.

დედა-კაცი წამოხტა.

— კაცო, შენა ხარ? — შეეკითხა შემოსულს და კარებს მიატანა.

— მე ვარ, მართა, მე. — შემოჰყო კარებში თავი და შემოვიდა შავი შალით თავ-შეხვეული მოხუცებული დედა-კაცი; თავით-ფეხამდინ წყალი წუნწკულით ჩამოსდიოდა. შემოსვლისათანავე კარები მიხურა და თავიდან სველი შალის მოხსნას შეუდგა.

— შენ გიშველა ღმერთმა, ნათლი, რომ მოხვედი, — მიეგება გახარებული მართა სალომეს და დაბალი ხმით უთხრა: — არ მეგონა თუ ამისთანაში გამოხვიდოდი, მერე იმოდენა გზა გქონდა გამოსავლელი.

— მა რას ვიზამდი, რო არ მოვიდოდი, — უპასუხა დაბალისვე ხმით სალომემ, — ცალკე ე ბღარი ეგრე მეგულებოდა და მერე ისიც შემოგეთვალა, მიხა პრიტავთან დაიბარეს და იქ წავიდაო. აი დაწყევლა ჩემმა გამჩენმა, ლამის ცა არ ჩამოიქცეს! რო აღარა ქნა ამ ოხერმა! — მიაწყევლა ამინდს სალომემ და გაწუწულ შალით ხელში ბუხრისაკენ წამოვიდა.

— მობძანდი, ნათლი, გენაცვალე, ცეცხლთან, ცეცხლთან! როგორ დასველებულხარ, ჩემ თვალებსა! მიბოძე ე შალიც ცეცხლთან დავკიდო. — ჩამოართვა მართამ შალი და ბუხრის ქვის გვერდზე, კედელში მიკრულ ლურსმანზე ჩამოჰკიდა.

სალომემ ცეცხლისაკენ ფეხი გადაადგა და უცებ ძირს დაიხედა.

— ქალო, ე რა ჰონჰყობი დგას? წყალი დაგიქცევია თუ რა არი? — გაკვირვებით შეეკითხა.

— არა, გენაცვა, წყალს მაგდენს როგორ დავაქცევდი, აი ეს გასატიელებელი კედლებიდან შემოვარდა, რო ველარ იჭერენ წყალს ე დამპალი ძელები! რაც მე ამათ გარშემო უკვალე და აქაც ე წყალი ვწრიტე, სუ ფერდები დამაწყდა. მოასკდა ნიაღვარი და მეგონა, სახლს სუ თავზე დამანგრევს მეთქი. აბა, შეხე, რაც რამ ძირს იდგა, სუ ე ტახტზე მივყარე. ადამიანი არ იყო, რო მამშველოდა. დამიდგეს ე თვალები, რო მინამ მე გარეთ ი გაჯახირებაში ვიყავი, ე ბღარს გაახდოდა და სუ პირ-წმიდა ტიტველი დამიხვდა, რო შემოვედი. მაიც კი ამის ტირილზე შემოვედი, ამას მოუკვდა დედა! იმას არა ვჩივი, რა დროს მომტაცეს მეთქი ის კაცი იმ უხატოებმა!

ის იყო მოჰყვა ჩივილს მართა, მაგრამ ყურადღება მათი ბავშმა მიიქცია. ის ოდნავ შეინძრა, დაფიცხებული ტუჩები ოდნავ აატკმაცუნა და სუსტის ხმით წამოიკვნესა:

— დედა, წყალიი...

მართა და სალომე ბავშთან საჩქაროთ მივიდნენ.

— ა, შენ შემოგევლოს შენი დედა! დალიე, გენაცვალე! — ჩამოიღო მართამ ბუხრის თავიდან ჰიქით წყალი და ბავშვის ტუჩებთან მიიტანა. ბავშმა მოსვა წყალი, ამღვრეული თვალებით დედას ერთი შეხედა და ისევ მიბინარდა.

— აი, დღეს სუ ასე არი! რა ვქნა, ნეტა რა ვიფიქრო!.. — მიუბრუნდა მართა სალომეს და თან ჰიქა ისევ მაღლა დადგა. — გუშინ თითქო უკეთ იყო! ვაი თუ კიდეც გამიცივდა!

— მერე რა დაგემართა, რო ვერავის ვერ დაუძახე? — თითქო საყვედურით უთხრა სალომემ.

— ვის დაუძახებდი, ნათლი: ჯერ ერთი რო ყველაფერი ისეთი უცები იყო, მერეა და, ხო იცი, იმ დროს ყველას თავისი გაჭირება ადგია! — უპასუხა სალომეს მართამ.

სალომე ამ დროს ბუხართან იატაკზე მიფენილ ჩილოფის ნაფლეთზე დაჯდა და ხელები ცეცხლს მიუფიცხა. ზურგ უკან, ოთახის კედლებში ქარი შემოქშუტუნებდა და სალომეს ტანში ჟრუანტელს ჰგვრიდა.

— ოფლი არც დღეს მოუვიდა? — შეეკითხა სალომე იმის გვერდითვე ჩამჯდარ მართას და გამთბარი ხელები მოიფშვნიტა.

— არ მოუვიდა და ის არა მკლამს, ნათლი! — გაატატანა მართამ ხელები და მუხლებზე დაიკრა. — რაღა ვქნა, ნათლი, რაღა ვქნა! მგონი დღე მიბნელდება მე შავ-დღეზე დაბადებულს და რაღა მეშველება! ხუთი დღეა, ამის ტომაქს, წყლის მეტი, ნაწილი არ ჩასვლია! დღეს თელი დღე ასეა მიბინარებული! შენ მოგიკვდეს, შვილო, დედა! ვიღა შემჩა ამის მეტი, მე უბედურს, რო ესეც ღმერთმა წამართვას! — ჩუმად ბუტბუტებდა მართა და თან გულში მუშტს იცემდა.



გენერალი ნოგი სინჯავს პორტ-არტურის იერიშის გეგმას.

— ქალო, რა დაგმართვია? — უთხრა სალომემ, — სამაგისო რა ჭირს ბღარსა? აგერ არ ამობ, მთელი დღე მიბინარებულიაო! გუშინ და გუშინ წინ როგორა შფოთავდა, აღარ გახსომს? ეს მიბინარება კაი ნიშანი უდა იყოს, სხეული დაისვენებს. ღმერთი, ჩემო მართა, ღმერთი! დიდია იმის სახელი! გული არ უდა გატეხო, ბევრი ამისანა გამოუბრუნებია! —

სასოებით წარმოსთქვა მართამ და პირ-ჯვარი გამოისახა. მართას ამ დროს მდუღარე ცრემლი სდიოდა და კალთაზე ეზნეოდა, მთელი დღის გაზოროტებით დაჭიმული ძარღვები თანამგრძნობელი ადამიანის გვერდით მოსწყდნენ, მოდუნდნენ და მწარე ცრემლებათ გადმოხეთქა.

— იჰ, ნათლი,—სალომეს უკანასკნელ სიტყვებზე მართამ შეიტია და თავშალის წვერით თვალები შეიმშრალა.—სად არი ნეტა ჩვენთვინ ღმერთი? ისემც რა უთხრა, რაც ის ჩვენთვინ არ გაჩენილიყოს! ღმერთია ესა, ადამიანო, რო ისედაც გაძაღლებულევს, რო არ იცი, შეშა სად გამონახო, ჭადი რაში გამოთუთქო, ნიაღვარი როგორ მოიგერო,—კაც შენ ნებაზედაც აღარავინ გაყენებდეს? მერე ეხლა, როცა ეს ასეთი დებიარე მიძეს, მე თვალ დამდგარსა?! ეს ქრიტიანობაა, მარტოხელ კაცს წაავლეს ხელი და თითქმი ცემით გაიგდეს წინ იასაულებმა!

— რა არიო, ქალო, რაზე დაიბარეს, არ იტყვი?

— ღმერთმა ნუ იცის იმათი თავი და ტანი! შკოლის გადასახადზეო.

— მერე და გადასახადითვის პრიტავთან რა უდოდა, მამასახლისი აქ არ იყო? ის ვერ გამოათმევდა?—გაიკვირა სალომემ.

— ვერ გამოათმევდა! დიახ გამოათმევდა, რო მიეცა, მაგრა ისიც რო გაჯიუტდა და არ მიცა!

— ი, ი, არ მიცა; რას მიქვია!—გაიოცა სალომემ,—არ იცოდა, რო არავინ არ შეარჩენდა თუ?

— შერჩენა როდი უდა, ნათლი, მაგრამ ის იმაზე გაჯიუტდა, რო კამელარით არ გვახდევინებთო. წინათ ორი მანეთი იყო, მასუკან რამთენი ოჯახი გაიყარა და მაინც კომზე იმ გაყრილებიანა ორ-ორი მანეთი იკრიბებაო. ე შკოლას კი ყოველ წელიწად ერთი ხარჯი უდაო. ამ დილაზედაც ბევრი იჩხუბეს, კინაღამ ეთმანეთზე იწიეს, მე ცოლ-შვილი მშიერი მყამ, ფეხთ არ მიცვია და ზბორჩიკებს მეტი ვაძლიოვოო! იჰ, ნეტა, ი საცოდავი!—შეიტია მართამ,—ვყრილიყავით ახლაც ფეხ-შიშველი, რა უყოთ, რა ვქნა! რო არ გათენდა ჩვენთვის, არა და არა, ვერ გაიგო? ნეტა ე სახში ყოფილიყო ეხლა და! ბღარს რო ასე ტოვებდა, საწყალი, ფეხები უკანა რჩებოდა. რახან ნებით არ იძლევი, გიჩივლეთო და პრიტავთან



იანტაის ბრძოლა. იაპონელი აფიცერი მიუძღვის ჯარს.

წამობძანდი, ის გიბარებსო. მოეჭრენ დილა-სისხამზე და რვა ვერსის მანძილზე ძალ-და-ძალ წინ გაიგდეს.

— ჭკვიანი კაცია მიხა, ეშმაკობას შეუტყობდა და დიახ არ დაუთმობდა. აკი ამიტომ ეძახიან „შფოთიანსა“,—გაამართლა მიხა სალომემ და მერე შეეკითხა:—ეს ველარ უთხარით, რო სხვა დღისათვის წაეყვანათ? ბღარს ასე ვერ ხედამდენ?

— იმდენი იცოცხლე, მე იმათ ვეხვეწე, მაგრამ ამ დღისთვინ არის დაბარებული და არ შეიძლებაო. ისიც უთხარი—ი კაცითვის აღარც კი მიკითხამს—წაიღეთ თქვენი, რასაც თხომთ, ოღონ თავი დაანებეთ-მეთქი, მაგრა ეხლა აღარ იქნებაო, პრიტავმა რაკი იცის, ეხლა თქვენგან ქრთამის აღე-



პორტ-არტურის სიმაგრეების წინ მავთულების დობეების აფეთქება იაპონელებისაგან.

ბას შესწამებს მამასახლისსაო და მაგის გულითვის ის რაზე გაილახამს თავსაო. აი ასე მიპასუხეს. აბა რა თავში ქვა ვიხალო ეხლა? სად არის აქამდინ ამ ამიდში? ისე გამოაყრუეს ისედაც გაჯერებული კაცი, რო ყაბალახიც აქ დარჩა. მერეა და პრიტავს როგორს ამობენ, ადამიანო! ვაი იმისი ბრალი, ვინც იმას ხელში ჩაუვარდებაო. ეტყვიან, გადასახადს არ იხდისო და იმასაც მათლა ეგონება. მე შენ გეტყვი, მიხა რუსულებ ჩაუბულბულებს, არა ბატონო, კი ვიხდი, მაგრამ საქმე ასე და ისეო... არა დედა, არა, მითქვამს და ვიტყვი, რო ჩვენთვის ღმერთი ყრუ გამხდარა!—სასოწარკვეთილებით დაამთავრა მათრამ და შვილს გადაჰხედა. ის ისევ თითქმის იმ მდგომარეობაში იყო, ისევ მძიმედ ქშინავდა და ყელში ახრიტინებდა. დრო და დრო პატარა ფეხებით საბნის მოცილებას ცდილობდა, მაგრამ დარაჯად მიჩენილი დედა მაშინვე ახურავდა.

— შენ შემოგევლოს, შვილო, დედა, გაცივდები! საიდან-რა გამოგვიტყვრა, შვილო!—ჩუმად სთქვა შვილისკენ პირ-მიბრუნებულმა მართამ და ისევ სალომეს მოუბრუნდა.

სალომე მართას სიტყვებზე ჩაფიქრებით თავს იქნევა. მის მთლად დანაოჭებულ სახეზე წვრილი ჩაღრმავებული თვალები ჭკუით გამოიცქირებოდნენ; თითქო იმას მეტყველებ-

დნენ ! და თითქო იცინებოდნენ, რომ მაგისთანა ქარ-ბუქი ბევრი გადამტეხია თავზე, მაგრამ აი ამ მოხუცებულებამდინ ბრძოლით მომიღწევიაო.

— მართა, შვილო,—ბოლოს ისევ მართას მოუბრუნდა, ღმერთს ნუ ცოდავ, ავათყოფი შვილი გყავო! მოვა ი კაცი, რა უჭირს. მაგითანები ბევრი გადა გხედია, შვილო; რა უყოთ მერე. ღმერთი, ისევ ღმერთი, მართა,—კიდევ ამას გეუბნები! ერთხელაც არი ქვეყანა სხვანაირა დატრიალდება...

მართას ამაზე აღარა უპასუხნია-რა. ორივენი ჩაფიქრდნენ. კარგა ღამე გადასულიყო. ქარს ისევ გრიალი გაჰქონდა, თუმცა წვიმამ კი მოიკლო. ბუხარში ცეცხლი ჩანელებულიყო და იტკეპნებოდა. იქვე მიცუცქული კატა ერთი ღონივრად გაიზმორა და მერე უდრო ღრმად შეიკეცა თათები, აიკუზა. რამდენიმე ხანი კიდევ გავიდა. მართა და სალომე ისევ ფიქრებს მისცემოდ ენ.

(დასასრული იქნება

ნ. ყიფიანისა.

# სხვა და სხვა ამბები

მდიდარ მემამულეთა შემოსავალი. შეერთებულ შტატების პირდაპირ გადასახადთა ადმინისტრაციამ გამოაქვეყნა დიდ მემამულეთა გადასახადები 1905 წლისა. საწორედ განსაცვიფრებელი რამ არის ამ მემამულეთა ქონების რაოდენობა, როდესაც შემოსავალი მრავალ მილიონებს აღწევს. აი მათი შემოსავალი (წლიურად):

| | | |
|---|---|---|
| მ. ფილდი (ჩიკაგო) | 40,000,000 | დოლლარი |
| ჯ. ჯ. ასტორი (ნიუიორკი) | 35,000,000 | „ |
| ვ. ვეიტმანი (ფილადელფია) | 30,000,000 | „ |
| ვ. ასტორი (ნიუიორკი) | 25,000,000 | „ |
| ლ. ზ. ლეიტერი (ჩიკაგო) | 12,000,000 | „ |
| ოტტო იუნგი (ჩიკაგო) | 10,350,000 | „ |
| ჰ. ს. ფრიკი (პიტსბურგი) | 10,000,000 | „ |
| ქ. ვაიტი (ბალტიმორა) | 8,000,000 | „ |
| ვ. ჩოსმანი (დენვერი) | 6,000,000 | „ |
| ჯ. მ. სირსი (ბოსტონი) | 4,000,000 | „ |

ეს არის შემოსავალი უძრავ ქონების პატრონთა. რაც შეეხება მოძრავ ქონებას, ადმინისტრაციას ვერ შეუგრებია უფრო სწორი სტატისტიკური ცნობები, რადგან პირადი განცხადება შემოსავლის რაოდენობისა სავალდებულო არ არის შეერთებულ შტატებში. მიუხედავად ამისა, რამდენიმე მაგალითი მაინც გვიჩვენებს მოძრავ ქონების პატრონთა აუარებელ შემოსავალს. კარნეგი იხდის, მაგალითად, გადასახადს 25,000,000 დოლლარის წლიურ შემოსავალზე, როკფელლერი—12,000,000-საზე და როსსელ საჟი—10 მილიონისაზე.




ზუგდიდის აფთიაქი.




წვიმის შემდეგ „სიარული“ პეტროვსკის და ზოგიერთს სხვა ქუჩებზე ტფილისში.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი